PLITONIT Plitonit Deutsche Qualität

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

# PLITONIT ცელულოზის ღრუბელი ეპოქსიდური შემავსებლის ნარჩენების მოსაშორებლად




ცელულოზის ღრუბელი განკუთვნილია შემავსებლის ახალი ზედმეტი მასისა და ეპოქსიდური ნადების ნებისმიერი გლუვი ზედაპირიდან - კერამიკიდან, ქვიდან, მინიდან, ლითონიდან, ხიდან - მოსაშორებლად, ასევე შევსების საბოლოო ეტაპზე ფილებს შორის არსებული ნაკერების გასასწორებლად.

ღრუბელი დამზადებულია ცელულოზისგან - რბილ და, ამავე დროს, გამძლე მასალისგან, რომელიც მდგრადია გაცვეთის მიმართ, არ იშლება შემავსებელთან კონტაქტისას, არ იფხვნება და არ ანაგვიანებს ნაკერებს. მსხვილფორიანი სტრუქტურის წყალობით, ღრუბელი შესანიშნავად იწოვს ტენს და ეფექტურად უმკლავდება დაბინძურებას.

**ღრუბლის ზომა 170x100x47 მმ.**

**PLITONIT-ის ცელულოზის ღრუბლით მუშაობის უპირატესობები და სარგებელი**

- მტკიცე, ცვეთამედეგი, არ იშლება მუშაობის პროცესში და არ ანაგვიანებს ნაკერს
- რბილი, არ კაწრავს ფილას და არ გამორეცხავს შემავსებელს ნაკერებიდან
- ტრანსპორტირებისას დასაშვებია ხანმოკლე გაყინვა.
- შენახვის ვადა არ არის შეზღუდული

**მუშაობის წესი**

გამორეცხვა შესაძლებელია ნაკერების ეპოქსიდური შემავსებლით შევსებისთანავე. მორეცხეთ ზედაპირი სველი ღრუბლით და შემდეგ გაწმინდეთ კარგად გაწურული ღრუბლით ფილების ზედაპირიდან შემავსებლის სრულიად მოშორებამდე.

**ყურადღება!**

უკეთესი შედეგისთვის რეკომენდირებულია თბილი წყლის გამოყენება, მისი ხშირად გამოცვლა, რათა ის იყოს სუფთა, და ღრუბლის საგულდაგულოდ გარეცხვა.

**შემადგენლობა**

100% ცელულოზა

**შენახვის პირობები**

შენახვის რეკომენდებული ტემპერატურა +5˚C-დან +30˚C-მდე. ტრანსპორტირებისას დასაშვებია ხანმოკლე გაყინვა. შენახვის რეკომენდებული ვადა შეზღუდულია.

**ლოგისტიკური ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| ინდივიდუალური შტრიხკოდი | 4607013047846 |
| ჯგუფური შტრიხკოდი | 14607013047843 |
| ღრუბლების რაოდენობა კოლოფში | 18 ც. |
| ღრუბლების რაოდენობა პალეტზე | 1260 ც. |